

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №45

2017 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

„საბაჟო საწყოებისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №471 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

### მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საბაჟო საწყოებისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №471 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 16/09/2015, 240090000.10.003.018857) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საბაჟო საწყოებისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პირადობის დამადასტურებელი ქვემოთ მითითებული დოკუმენტი, რომელშიც დასმულია თარიღის შტამში აღნიშვნით – „გასვლა“:

- ა.ა) საქართველოს მოქალაქის პასპორტი; ან
- ა.ბ) მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტი; ან
- ა.გ) ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი; ან
- ა.დ) ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სამგზავრო პასპორტი; ან
- ა.ე) უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტი; ან
- ა.ვ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სამგზავრო დოკუმენტი;“.

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

